მარტის. 1-სა. წელიწადი პირველი. 1862 წელსა.

# გუთნის-დედა,

## მამულის-მოყვარეთათვის.

ქაღი მოსწერება ტფი-ლისში.
ი. ქერესელიძის სტამბაში.
ბეჭდვას, საკუთარს სახლში..

«ცისკარზედ» დამატება.

ნ. 5

გამოიცემა ორკვირაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» ქაღს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთი.

### პირუტყუთ მოშენება.

აღწერილი მოვლასა ზედა ახალ მოზარდის რქიანის საქონლის რიგი არის დაფუძნებული გამოცდილებასა და სწორეს გამოკვლევასა ზედა; აქ არის მოხსენებული გამოცდილებაები დიდათ ცნობილთ რუსეთის და სამღვარს გარეთ მამულის მეპატრონეებისა, მაბუთად სისწორისა აღწერილის ღონისძიებაებისა. ეს ღონისძიებაები გამოდგება ყოველს მამულში, მრიელ დიდში და მრიელ მცირეში.

რადგან ხბორები იხოცებიან სიპატარავეშივე სხვა და სხვა სნეულებისაგან, რომელნიც ზოგჯერ დაწყობაში არიან უბრალონი, ხოლო შემდგომში გახდებიან საშიშარნი, თუ თავის დროზედ დაწყებისთანვე არ მოისპობიან; ამისაგამო აქ აღიწერებიან ადვილად საშოვარნი ღონისძიებაები, რომელნიც იპოებიან გლეხებში და სოფლიურს მდგომარეობაში, ეს ღონისძიებაები უმეტესის ნაწილით არიან შესწორებულნი აღმწერელის საკუთრის გამოცდილებით წამლობის დროს ახალ მოზარდთა ცხოველთა და არიან მიღებულნი იმ კაცთაგან, რომელნიც არიან დიდად განვითარებულნი პირუტყუთ მკურნალობის საქმეში.

წესი მოვლისა იქნება შემდგომი:

ა) წესი მაკეს ფურის მოვლისა.

ბ) მოვლა ხბოებისა, იმ დროს, ოდე-

საც იგინი სწოვენ რძესა.

გ) მოვლა სბოვბისა შემდგომად რძი-დამ მოშორებისა სრულს აღზრდამდის.

დ) სნეულებაები, რომელნიც უმეტესად შეემთხუევათ სბოებს და აღწერა იმათის დამვქენებელისა და მომსპობელისა ღონისძიებაებისა.

ა) მოვლისათჳს მაკეს ფურისა.

ფური იქნება ხოლმე მაკედ ორმოცს კჳრამდის ანუ ორას ოთხმოც და ხუთს დღემდის; მაგრამ ეს რიცხჳ არ არის გარდა-წყვეტით აღჳარებული: იქნება ხოლმე შემთხუევაები, რომ ფური ივლის მაკედ ხან უფრო ვრცელსა, ხან მრიელ ნაკლებსა დროს. ტერსიეს ხუთას სამოც და თხუთმეტს ფურზედ თვალის დევნებითა აღმოჩენილა, რომ ოც და ერთი ფური ყოფილა მაკედ განგრძობასა შინა ორას ორმოციდამ ორას სამოც და ათს დღემდის; ხუთას ორმოცდა ოთხი ძროხა ორას სამოცდა ათიდამ ორას ოთხმოცდა ცხრამეტს დღემდის და ათი ძროხა ორას ოთხმოცდა ათიდამ სამას ოცდა ერთს დღემდის. საზოგადოდ არის შენიშნული, რომ მსხჳლის მოდგმისა იქნებიან მაკედ უმეტესად გრძელსა დროსა, ვირემც წვრილისა მოდგმისა; ეგრეთვე ცნობილ არს, რომელ ძროხა მაკე სასარე ხბოთი შობს უფრო გჳან, ვირემც ძროხა მაკე საფურე ხბოთი. რაც უფრო დიდხანს იქნება მაკედ, მით უფრო მსხჳლი, მრიელი და მრთელი ეყოლება ხბო: აჩქარებულსა უკუყოლაში ხბო იშობება სუსტი: ხბო, დაბადებული უწინარეს შჳდის თჳს დამაკებისა იქნება ან მკუდარი, ან მოკუდება შემდგომად შობისა მრიელ ჩქარა; შობილი შემდგომად შჳდის თჳსა, გარნა სრულს ვადამდის თუნდ დამთეს ცოცხალი, მაინც სამუდამოდ იქნება სუსტი, ყოველს დროს და უმეტესად სიმაკის მეორეს ნახევარში, რადგან იმ დროს უმეტესად იზრდება და უჩქარესად იზრდება ჩასახული: უნდა იქონიონ მაკე ფურზედ თჳთ გულის მოდგინე ზედამხედველობა; უნდა ეძლიოს საჭმელი არა წახდენილი, არა საეჭვებელი და ესრეთი, რომლისაც პირუტყჳ უწინვე იყოს შეჩვეული, სასმელი უნდა იყოს ეგრეთვე მრთელი და სასიამოვნო, უნდა შეინახონ ცხოველი ესრედ, რომ ის არ ეწყალოს რხოლისა, ტკენისა, ძალის დატანებისა, შეშინებისა და სხუათა ამ გუარითა გარემოებათაგან.

ჩასახული იკუებება და იზრდება დედის მუცელში სინოტიოსაგან, რომელიც მდგომარებს იმის მუცელში. ეს ნიშნავს, რომ თჳსებასა და რაოდენობასა საჭმლისა და სასმლისასა, რომელიც ეძლევა ფურსა, უეჭუოთ უნდა ჰქონდესთ ზედმოქმედება თჳთ ჩასახულზედაცა, რომელიც იზრდება, ესრედ ითქმის, საზრდელითა თჳსისა დედისათა. თუ საჭმელი საეჭვებელი არის დედისათჳს, მაშინ უეჭუელად ის ეგრეთვე იქნება საე-

ნებელი ჩასასხულისათჳსცა, ამისთჳს ტკბილი მინდვრის თივა, არეული მსესთან ანუ ჩალასთან, დაჭრილი ჩალა ანუ ბზე ჯურის მარცვლით, მოხარშული კარტოფილი მცირედი, ღურდო, მხოლოდ არას შემთხუწვაში არ დამჟავებული ანუ ცხელი. ერთის სიტყვით ყოველი რასაც პირუტყვ სჭამდა უწინარეს, და რისაც უკუე არის მიჩვეული, ივარგებს საზრდოდ მაკე ფურისათჳსცა.

მეორეს სიმაკის ნახევარში, რაოდენობა რძისა იწყებს დაცოტავებასა, მუცელი ებერების და საჭმლის ნდომა მოემატების; ამისთჳს ამ დროს ძროხას უნდა ეძლეოდეს ისეთი საჭმელი, რომელიც უმეტესად ეწევა რძის წარმოებასა, გარნა არა უმეტესი ზომიერის საკუჭმისა. ოდესაც მოახლოვდება დროჲ მოგებისა, მაშინ საჭირო არს ემატებოდეს ცოტ-ცოტად საჭმელი, ფრიად სასარგებლო არს ეძლეოდეს მოგების უკანასკნელს კვირებში სასმელად ტკბილი წყალი დაღერღილის ჯურის მარცვლითა, მაგალითებრ ვედრას ანუ სამს თუნგს წყალს მოუნდება ფქვილი ერთი ანუ ერთ ნახევარი გირვანქა. ამით შეიძლება ეჩვენოს თანამეწეობა, რომ უხვად რძე ჰქონდეს შემდგომსა დროში.

რიდუზელის გამოცდილებაებითა, კარგი თივა, გირვანქისა $1\frac{3}{4}$ ანუ სხუა ვითარიც თივასთან თანასწორი ჰოხიერებითა პირუტყუთ საკუჭმი კმასაყოფელ-არს დღე და ღამეში ჩვეულებრივს დროს საზრდოდ ცხოველისა, რომელსაც აქუს 100-ის გირვანქის წონა. დროსა უკუე ძროხების მაკეობისასა ეს რაოდენობა საკუჭმავისა არა არს საკმაო, ვინაჲდგან თჳნიერ საზრდოჲსა, სიცოცხლის შემნახველისა, საჭირო არს კიდევ საჭმელი გასაზრდელად ჩასასხულისა, და ამისთჳს უნდა ეძლეოდეს დამაკების პირუელის ნახევარიდამ არა ნაკლები $2\frac{1}{2}$ გირვანქისა ცხოველსა 100-ის გირვანქის წონისასა, ხოლო მეორეს ნახევარში უნდა აეიდეს ეს რაოდენობა სამს გირვანქამდის და უმეტესამდისაცა. ძროხასა 800-ის გირვანქის წონის მქონსა, უნდა ეძლეოდეს ხოლმე მეორეს ნახევარში 25-ს გირვანქამდის კარგი თივა, ანუ სხუა საკუჭმი, ჰოხიერებით თივისა თანასწორი. მაკე ძროხამ, მქონმა 100-ის გირვანქის წონისამან, უნდა სჭამოს მწუანე ანუ ნედლი საკუჭმი 9-იდამ არა უმეტეს 12-ის გირვანქისა: არ უნდა მიეცეს მხოლოდ ისეთი ნედლი საკუჭმი, რომელიც მუცელს შემობერავს, ვითარცა მაგალითებრ იონჯა (კლევერ) და უმჯობეს არს შემოკლდეს მიცემა ნედლისა საკუჭმისა, ხოლო მოემატოს იმის მაგიერ ხმელი: გამუკუმის დროსაც სამთურად საჭირო არს ეძლეოდეს მაკე ძროხებს ცოტა ხმელი საკუჭმი. ყოველი საკუჭმი საჭირო არს შესწორებულ-იქნეს ნოყიერებით თივასთან და ეძლეო-

დეს შესაფერის თივასთან ზ.ომითა, მაგრამ უნდა დაცულ-იქმნას კანონად, რომ ეძლეოდეს ჰოხიერი, გარნა არა მოუნელებელი საკუები, ამისთჳს უმჯობეს და უსასარგებლოეს არს ყოვლისა, რომ მაკე მროხებს ეძლეოდესთ სხუა და სხუა ჰოხიერი არეული საჭმელი. რაც შეეხება სასმელის რაოდენობასა, შეიძლება ეძლეოდეს მროხებს ყოველთჳს ვიდრემდის გამლებოდენ და უმჯობესი არს ასმევდენ წმინდას მდინარეს წყალსა ანუ თბილს წყალს შავის პურის (რჟანოი), შვრიის და რუსული მუხუდოს ფქვლითა (გაროხ).

მაკე მროხებს არ უნდა ეძლეოდესთ მომატებული ნოყიერი საკუები და დიდად ბევრი, მაგალითებრ: პურის მარცვალი, ზეთის გამონაწური (კოპტონი). თჳთ სწორეთ ამ საქმეში გამოცდილებათაგან აღმოსჩნდა, რომ ხბოები ამ მროხებისანი იქმნებიან სათუთნი--ტანოვანნი და სუსტნი. უფრო ცუდათ იქცევიან პატრონნი მაშინ, ოდესაც მსურველნი მროხის მოგების შემდგომ რძის მომატებისანი, მხოლოდ რაოდენისამე კვირით ადრე მოგებისა იწყებენ მროხების ჭმევასა მომატებით ჰოხიერის საკუებისასა და დიდის რაოდენობით, ხოლო იმ დრომდის აჭმევენ საკუებავსა ნაკლულევანსა. ხბოები ამ შემთხუევაში დაუწყებენ ესრედ ბევრსა რძის წოვასა, თუ იზრდებიან დედის რძითა, რომ საჭმლის მოსანელებელნი ორღანონი ვეღარ შეიძლებენ მონელებასა მიწოვილისა რძისასა და ამისგან გაუჩნდებათ კუჭში სიმჟავე და მრავალი სინოყიერე, მაწარმოებელი მუცლის ტკივილისა და საქმობისა. გამოცდილებათაგან არის მიხუედრილი, რომ კარგი არის, რომ ცოტა შემოკლდეს ჩუეულებრივი მიცემა საკუებისა, საკუთრივ კარგად ნაჭმევის მროხებისათჳს მოგების წინა დროში, გარნა არა იმ ზომითა, რომ გახდნენ იმისაგან.

რომელნიმე პატრონთაგანნი ჰრაცხუენ სასარგებლოდ მომგების ფურების ჭმევასა თჳთ ნაკლულევანისა საკუებავისასა, მისთჳს-რომელ ვითომც ესე ვითარისა საკუებავითა ჩასახული ცუდად იზრდება დედის მუცელში, და რადგანაც ჩასახული იქნება უსუსტესი და პატარა ჩუეულებრივზედ, ნაკლებად შეაწუხებს დედასა მოგებისა დროს. ეს ჰაზრი არის ტყუილი, ვინაიდგან მოგება იქნება შემაწუხებელი არა დიდისა ანუ პატარის ხორცისა და რბილის ნაწილებისა რაოდენობისაგან, არამედ ხარისხისაგან მკლების რაოდენობისა, რომელნიც შესდგებიან დამოუკიდებელად ერთისა ანუ მეორისაგან. თჳნიერ ამისა ცხოველსა კარგათ გამოკვებილსა, არა დასუსტებულსა, მაგარსა, უფრო მეტი აქუს მალა გაუმლოს წვალებასა მოგებაზედ, ვირემც ცხოველსა სუსტსა,--ნიშნავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ნაკლულევანის კჳებისაგამო მაკე მროხებისა უფრო ადვილად შესაძლებელ არს შემთხჳევა უბედურებისა. გამოცდილება გვარწმუნებს, რომ თუნდ მაკე მროხებს სულ არ მიეცესთ საკჳებავი მომდინარეობასა შინა ვითარისამე დროებასა, მაშინ, რასაკვირველია, ის მროხები დასუსტდებიან; მაგრამ ჩასახული მაინცკი ცოტ-ცოტად იზრდების, თუნდ დედაც მოკჳდეს შიმშილით, ხოლო შესაძლებელ-არს გამოღებულ იქმნეს და დარჩეს ცოცხლად, გარნა იმ შემთხჳევაში, თუ ეს შეხჳდება მოგების წინა დროს, ესე იგი ფურის დამაკებიდამ შემდგომად ორმოცის კვირისა. არ უნდა ემლეოდესთ მაკე მროხებს ისეთი საკჳები, რომლისაც ისინი შეჩჳეულნი არ არიან,- ამისაგამო შეიძლება უდროო მოგება, გაბერწება, ზოგჯერ ფრიად მნელი მოგება. ამტკიცებენ, რომელ მროხები, რომელნიც იკჳებებოდნენ თალგამითა და კომბოსტოს ფურცლებითა, დიდად სუქდებოდნენ, მაგრამ თხუთმეტიდამ თითქმის ვერც ერთმა მშჳდობიანათ ხბო ვერ მოიგო; ამასთან სამი მროხა გაბერწდა, ორს ხბო გამოსჭრეს და გამოიღეს წვრილ წვრილად, ხუთი მროხამოკჳდა.

თუ ზოგჯერ ნაკლულევანებისაგამო საკჳებავისა, ბერწს ჰირუტყვს აძლევენ არა ბევრსა წამხდარსა საკჳებსა, რომელსაც ურევენ სხჳა საკჳებავებში, დროსა უკჳ მროხების მაკეობისასა, ეს არ უნდა მოხდეს, ვინაიდგან ამისგან წარმოსდგება ეგრეთვე გაბერწება. ამისთჳს წყალ დასხმული ხმელი საკჳები, გაყინული, ბოსტნეული დამპალი საკჳები არ უნდა ემლეოდესთ მროხებსა; თჳთ ნედლის კარტოფილითაც არ უნდა ჰკჳებონ მაკე მროხები მომატებულად. არ უნდა ეგრეთვე უშვებდენ მროხებს სამოვრად მინდორში მოყინვის დროს, მაგალითებრ შემოდგომაზედ ანუ გაზაფხულზედ, ამისგამო ეგრეთვე მროხები ბერწდებიან. მრიელი ცივის წყლის სმევა ფრიად ავნებს მაკე მროხებს, საკუთრივ იმათ, რომელნიც უწინ იყვნენ შეჩჳეულნი თბილს სასმელსა, და უფრო სავნებელ არს, რომ მიეცეს ნება ჭაობების წყლის სმისა; ამისგან მოხდება გაბერწება. მაკე მროხები უნდა იყვნენ შენახულნი ზომიერი თბილს და ვრცელს ბინებში, რომ ცხოველთ არ შეემთხჳათ მსწრაფლი და უცევი ჰაერის ცვლილება, ჩქარი გადასვლა სითბოდამ სიცივეში ანუ სიცივიდამ სითბოში.

უნდა გაფრთხილება, რომ ცხოველნი არ შეშინდნენ, ვინაიდგან აქედამ წარმოსდგება გაბერწება. მოხდება ხოლმე საქონელთ ბინებში, რომ მროხები ერთმანერთს ერჩიან, ამისგამო მიიღებენ სნეულებას და ბერწდებიან, ამისთჳს უმჯობეს არს, რომ განაშორონ ხოლმე ცალცალკე. ბინებიდამ ერთად არ უნდა გამორეკონ ხოლმე იმ

ბიბლიოთეკა

რიგათ, რომ ერთი მეორეს აწვებოდეს, ვინაძდგან ესეც ეგრეთვე მავნებელი არს, როგორც რწოლა; არ უნდა ატარონ ძროხები გვერდაებსა და ფეხის მოსასხლეტს ადგილებში; ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც საშიშარი არის, რო საქონელმა იტკინოს რამე. მწყემსნი და ზედამხედველნი არ უნდა სცემდენ მაკე ძროხებს, დაკვრისაგან იგინი ბერწდებიან, იგებენ მახინჯებს და არა იშჳათად, ამისგან უნახავთ ხბოები დამპალნი თჳთ მუცელში.

ვითარცა კანონი, უნდა იქონიონ მხედველობაში შემდგომი: თუ ცხოველი ერთხელ უკვე გაბერწებული, მეორეთაც გაბერწდება, მაშინ ის უნდა გამოირიცხოს მოსაშენებელთა რიცხჳსაგან, ამისთჳს რომ ეს შეიძლება განმეორდეს არა ერთგზის, თუნდ კიდეც მოხდეს ამისთანას ძროხას ეყოლოს ხბო და გაიზარდოს, მაინც თჳსება გაბერწებისა უთუოთ გადავა ახალს ცხოველზედ და შეიქმნება მემკჳდრეობითი. ამასთან გაბერწება აწარმოებს სიმულილსა სხჳათა ცხოველთა შორის და არა იშჳათად შეიქმნება მიზეზად მისა, რომ სხჳანი ცხოველნიც გაბერწდებიან.

მაკე ცხოველთათჳს მიუცილებლად საჭირო არს მოძრაობა, გარნა იმისთანა, რომ არ იყვეს უზომოდ დამღალველი. ამისთჳს, სადაც არის ჩვეულება ძროხების მუშაობაში მოხმარებისა, რვა კჳრის წინათ მაინც ხბოს მოგებამდის უნდა იყვნენ მოსვენებულნი. მოწველა უნდა მოისპოს 3-ის ანუ 6-ის კჳრის უწინარეს მოგებამდის, იმისკამო, რათამცა ძროხებმა შეიძლონ თავეთის ძალის ხმარება ხბოს გაზდაზედა. ნიშნები, რომლითაც შეიძლება შეტყობა მოწველის დატევების დროს მოსვლისა, იქნებიან შემდგომნი: პირველად, ოდესაც რძე მომატებით დაცოტავდება, ანუ მეორედ, ოდესაც რძე მიიღებს უზომოთ გადამატებულსა საჭოს ნაწილებსა: ყოველს შემთხვევაში მოწველა უნდა შესდგეს არა ერთბაშად, არამედ თან და თან მოკლებით.

იოსებ მამაცაშვილი.

(განგრძელება იქნება შემდგომში.)

---

თესლეულისათჳს.

ყოველთ მემამულეთ, რომელთაც თჳსთ მამულში ბოსტნეული მოჰყავთ, იციან როგორ ძნელია კარგი თესლეულის შოვნა, რომ თჳთან ადრევე არ შესულან ზრუნვაში თჳსს მამულში თესლთა მოკრეფისათჳს, თესლთ გამყიდველნი მომატებულ ნაწილს უფრო იმისთანა თესლსა ჰყიდიან, რომელიც ჯერ ისევ შემოუსვლელია და, რომელსაც სანორჩო მალა თჳთმას სრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით აღარა აქჳსთ. ეს არც საკჳრველია ამიტომ, რომ ისინი თესლს აგროვებენ როგორც მოსჳდებათ, მცენარე თუნდა შემოსულ იყოს თუგინდ არა, ამასთან არც მისი შესანახი ადგილი აქჳსთ ვარგისი: ჭერიან ერთ კუთხეში გროვათ, სადაც მთელი ზამთარი რჩება სინოტიეში და ავდრებში.

ამისათჳს ვისაცა ჰსურს კარგი ბოსტნეული ჰქონდეს და მოსცილდეს უსარგებლო თესლთა თესვის ხარჯსა, თჳთონვე უნდა ეცადოს თჳს ბოსტანში თესლის მოგროვებასა და კარგათ შენახვასა, რომ გაბედჳთა და უშიშრად სთესოს იგი. რადგანაც ბოსტნეულის საქმე ჩუჱნ კარგა ვიცით, არ იქნება უსარგებლო მომჭირნახულობის მოსურნე მემამულენი გავაცნოთ რომელსამე სავაჯისო თესლთ მოგროვებათა ცოდნებთანა და საბოსტნე თესლეულებთანა.

მცენარეთაგან თესლთა მოჭრის დროს თვალთ წინ უნდა გვქონდეს შემდგომნი რიგნი: **1**, თესლი იმ დროს უნდა მოიჭრას, როდესაც სრულებით შემოვა; იმ მცენარეთაგან უნდა მოიჭრას თესლნი, რომელნიც ყოველთ მცენარებსა სჯობიან და ყოველზე ადრე აყვავდებიან,--რომელნიც გჳან აყვავდებიან და ნაყოფთ მოისხმენ ისინი უნდა მოაჭრან და გადაყარონ, **5** არას დროს არ უნდა მოკრიფონ იმ გვართა მცენარეთაგან თესლნი, რომელნიც სხჳა მცენარებთან იზრდებიან, მაგალ. არ უნდა აიღოს იმ კიტრისაგან თესლი, რომელიც იზრდება გოგრასთან, ყვავილიან კომბოსტოსთან და თავ კომბოსტოსთან, **4**, თესლი არ უნდა აიწოს ავათმყოფთან ულონო მცენარეთაგან, **5**, თესლეული ყოველთჳს ნიავისა და მშრალს ადგილში უნდა შეინახონ.

მრავალნი თესლნი თავის კანში უფრო კარგათ ინახებიან მაგ. მუხუდო და ბაკლა. თხილი და წაბლი კარგათ მაშინ ინახებიან, როდესაც ჩავყრით თიხის ჭურჭელში, გავამსებთ მშრალის ქჳშითა, პირს დაუხურამთ და მიწაში ჩავსვამთ, მერე მაზედ მიწას აუმაღლებთ რომ წყალი არ ჩაუვიდეს და ყინვამ არ შეაწუხოს.

კარგათ შემოსულთ თესლთ კაცი ბევრნაირათ შეატყობს: მარცჳალნი უნდა გაჰფინონ ნაჭერ მაუდზედ ანუ ნაბადზედ, ზევითგანაც ისეთივე ნაჭერი გადააფარონ, წყლით დანამონ და დაზდონ ჩრდილიან თბილს ალაგს. მერე რამდენიმე დღის შემდეგ უნდა ნახონ, რომელთაც ღივი გამოუშჳათ ისინი კარგნი იქნებიან და რომელთაც არა, ისინი არ ევარგებიან. შეიძლება კიდევ ასე შეატყონ თესლთა სივარგისე, ჩაყარონ ერთს წყლით სავსე პირგანიერს ჭურჭელში: რომელნიც დასძირონ ისინი კარგნი იქნებიან და რომელნიც პი-

რზე მოიგდოს ისინი არა, მაგრამ ასე შეიძლება მხოლოდ იმ გვარ თესლთ მოვექცეთ, რომელთაც კანი კლუტი აქუსთ, ე. ი, კიტრის, ნესვის და კომბოსტოს თესლთა.

ბაღოსნობაში ესეც ფიქრში მისაღებია, რომ მამულს გამოუცვლიდეთ თესლეულებსა. მრავალნი საბოსტნე თესლეულნი, რომელნიც უოველთჳს ერთ ადგილას ითესებიან, ჰკარგავენ სანორჩო მალასა, ხდებიან და სრულებით გვარს იცვლიან მაგ. თჳს ბოლოკისა ევავილიან კომბოსტოსი და სალათისა თხოულობენ მალმალ თესლეულის გამოცვლასა, ეს გარემოება უფალთ მემამულეთ უნდა აზრში იქონიონ ახალს თესლს შოულობდნენ სხუა ადგილთაგან, რაკი შეატყოს რომ ხდებოდეს.-ამასთანავე არა ვრაცხთ მომატებულათ მოუმატოთ ეს საქმე.

| მცენარების სახელები. | ნიმუშები შემოსულის თესლეულისა. | რიცხჳ წელიწადთა რომელთა წარმავალებაში არ უნდათ გამოუცვალოს ადგილი თესლსა. | რიცხჳნი დღეთა მერამთენეზე ამოჩნდება ღივილით თესლნი. |
|---|---|---|---|
| არტიშოკი. . . . | მომწვანო დარიჩინის ფერი სავსე, მძიმე და მაგარი. | 3-5. | 10. |
| ბაგლა, . . . . . | ანკარო თეთრი ანუ წითელი ანუ დარიჩინის ფერი. | 2 | 3. |
| ჭარხალი. . . . | მწვანე და სავსე (სრული). | 3. | 6. |
| კარდ-კაშაშა . . . | სავსე და წმინდა. . . | 3-6 | 5. |
| ბადრიჯანი. . . | დარიჩინის ფერი სავსე და მაგარი . . . | 2-5, | |
| სისირი. . . . | სავსე, მძიმე და თეთრი ფერისა. . . . | 2-3. | 5. |
| კიტრი. . , . | თეთრი სავსე და მაგარი. | 81-10. | |
| სტაფილო. . | მწუანე, სუნისა. . | 2. | 8 |
| ხუჭუჭი კამა. . | შავი. . | 2. | 5. |
| სამფოთოლა წითელი. | ღია ყუთელი ფერისა და სრული, . . | 3. | 12. |
| იონჯა. . , | დარიჩინის ფერი და სავსე. | 3. | 12. |
| კომბოსტო. , | მუქი დარიჩინის ფერი და სავსე. | 6. | 10. |
| წიწმატი. . . | მოწითლო დარიჩინის ფერი მძიმე და სავსე, . | 2-3. | 5. |
| გოგრა. - . . . | თეთრი ფერისა სავსე მაგ. | 7-8. | 6. |
| ნესვი. . . | ისე როგორც გოგრისა | | |
| მაღდანოსი, . | მწვანე და სუნიანი. | 3. | 45. |
| წიწაკა, . . | მუქი და სავსე. . | 6. | 8, |
| ხახვი. . . . | შავი. . . . | 2-3. | 6. |
| თჳს ბოლოკი. . | წითელი ანუ ყუთელი საშჳნვალე. , . . , | 5. | 3. |
| სალათა. . . | თეთრი ანუ შავი. . | 3. | 4. |
| სატაცური. . | მწკინვალე შავი და სავსე. | 2. | 15. |
| ისპანახი. . . | თეთრი დარიჩინის ფერი მეინვალე და მაგარი. . | 3. | 10 |
| ხახჳ. . . . | შავი და მაგარი. . | 2. | 10. |
| ნიახური. . . | დარიჩინის ფერი. | 4. | 14. |

შარერი. მებაღე მთავარმართებელის ბაღისა.

Тифлисъ. Печатать позволяется. 1 Марта 1862 года. Цен. Кантмазовъ. რედ. კერესელიძე.